ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

7 (9947) • 27 Tebervali • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ეს შენ გეხება

„მიზანი, კანონში შესატანი ცვლილებებისა, არის აბსოლუტურად გაუგებარი“

მარი კოძოევი

„შეუძლია ახალ კანონს ყველა ჩიხში შეგვიყვანოს". ამ და სხვა მსგავსი შინაარსის წარწერებით ფლაერები ოზურგეთში 23 თებერვალს გავრცელდა, მაშინ, როცა ცენტრალური უნივერმაღის წინ აქცია იმართებოდა.

აქცია ჟურნალისტებმა, საზოგადოების, მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა გამართეს. ამ სახით აქციის მონაწილეები არაპოლიტიკურ სამოქალაქო მოძრაობას „ეს შენ გეხება" შეუერთდნენ. აქციები პარალელურად საართველოს სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა. ამ გზით აქციის მონაწილეები სისხლის სამართლის კოდექსში და ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებდნენ, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს შეეხება.

ჩვენ არ დავუშვებთ კანონს, რომელიც: არაკონსტიტუციურია, ხელს უშლის თავისუფალი აზრის გამოხატვას, ზღუდავს საკუთრების უფლებას, ახშობს სამოქალაქო აქტივობას, საფრთხეს უქმნის მედიას, ბიზნეს ორგანიზაციებს, არასამთარობო სექტორს და თავისუფალ ამომრჩეველს. ეს იყო აქციის მონაწილეების მთავარი სათქმელი.

მაშინ, როცა საზოადოების ნაწილი ასე აქტიურად აპროტესტებს ახალ კანონს გაზეთი „ალიონი" შეეცადა გაერკვია რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

***

ლევან ხინთიბიძე (საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი): პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მიზანი კანონში შესატანი ცვლილებებისა არის აბსოლუტურად გაუგებარი. გაუგებარია რა გახდა მიზეზი იმისა, რომ კანონში შესულიყო ცვლილებები. ზოგადად ცვლილებების შეტანა უნდა განაპირობებდეს უფრო დემოკრატიული გარემოს შექმნას და მოსახლეობის ინტერესების დაცვას. ზემოაღნიშნული ცვლილებები კი საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს. ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში ძალიან მოკლე პერიოდში შევიდა და თან ამ პერიოდს დაემთხვა საშობაო არდადეგები. კითხვები იბადება არა მარტო იმ ადამიანებისთვის, ვისაც უშუალოდ ეხება კანონი, არამედ იმათთვისაც ვინც ამ კანონის არსებობის შესახებაც არ იცის. ბევრმა მოქალაქემ მის შესახებ არაფერი იცის. კანონში არის საკმაოდ გაუგებარი ჩანაწერები, რომელიც ქმნის შესაძლებლობას ინტერპრეტირებისა, რის შედეგადაც შეიძლება სრულიად უსაფუძვლოდ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს და დაისაჯოს ადამიანი. კანონი პირდაპირ აკავშირებს პოლიტიკურ პარტიასთან ადამიანს, რომელსაც შესაძლოა პოლიტიკასთან არავითარი შეხება არ ქონდეს. კანონში გაჩნდა ცნება პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირი. არ არის განსაზღვრული რა კეტეგორია ან ვინ ჩაითვლება ასეთად. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ადამიანმა მოითხოვოს დახმარება, რომელიმე პოლიტიკური პარტიისაგან, რაც მისი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საფუძველი შეიძლება გახდეს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში

გვ-2

ოზურგეთში ბავშვთა დღის ცენტრი გაიხსნა

მარი კოძოევი

ბავშვთა დღის ცენტრი „ცისკრის ვარსკვლავი" ოზურგეთში გასულ კვირას გაიხსნა.

ცენტრის გახსნას ადგილობრივი ხელისუფლების სრულ შემადგენლობასთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე ესწრებოდა. გახსნის ცერემონიაზე ბრძანდებოდა მეუფე იოსები.

დღის ცენტრის მმართველი ორგანიზაცია ა.ი.პ. „მომავლის სხივია", რომელიც შემოქმედის ეპარქიის ბაზაზეა დაარსებული.

გასული წლის 28 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმებას ხელს აწერს კათოლიკოს პატრიარქი, ილია II და ჯანდაცვის მინისტრი, ანდრია ურუშაძე. შეთანხმების თანახმად, ეკლესიამ და სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყონ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სრულყოფას, მზრუნველობა მოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ოჯახური და ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას. „სწორედ ამ მიზანს ემსახურება დღის ცენტრი. ჩვენ პირველები ვართ მემორანდუმის ფარგლებში, ვისზეც განხორციელდა ეს ხელშეწყობა"–გვითხრა ცენტრის დირექტორმა, ხათუნა ცერცვაძემ.

ცენტრი სოციალურად დაუცველ ბავშვებზეა გათვლილი. ბენეფიციართა რიცხვი 25-დან 30-მდე იქნება.

„ცისკრის ვარსკვლავში" იქნება წერა-კითხვის შემსწავლელი და სკოლის პროგრამების ათვისების ხელშემწყობი ჯგუფები. ბავშვებს ჩაუტარდებათ თემატური გაკვეთილები. შეისწავლიან ხელსაქმეს, გამომსახველობითი ხელოვნების დარგებს, უცხო ენებს, კომპიუტერულ პროგრამებს, მინანქარზე მუშაობას, ფოტოგრაფიას.

ცენტრი აღჭურვილია ტელე-ვიდეო აპარატურით, ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ტექნიკით.

მოზარდები უზრუნველყოფილნი იქნებიან ორჯერადი კვებით და პირველადი სამედიცინო მომსახურებით. მათ მუდმივი კონტაქი ექნებათცენტრის გარეთ არსებულ სამედიცინო დაწესებულებასთან.

–„აქ ბავშვები ისწავლიან, გაერთობიან, საკუთარი თავის რეალიზებას მოახდენენ. მათ ამის საუკეთესო საშუალება ექნებათ",–გვითხრა მხარის გუბერნატორმა, ვალერი ჩიტაიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძემ ახალგახსნილი ცენტრის თითქმის ყველა ოთახი მოიარა, ბავშვებს გაესაუბრა და ცენტრში არსებული პირობების გამო კმაყოფილება გამოხატა.

გამარჯვება გარდაუვალია!



შეიქმნა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება", რომელშიც შედის ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება მალე მაღალი ტემპით დაიწყებს მუშაობას და ყველა ადამიანს მიეცემა საშუალება დაირაზმოს ჩვენს გარშემო უზნეობის, დიქტატის, უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს არის ახალი რეალობა, არჩევანი თავისუფლებასა და დიქტატს შორის; გეზი ნატოსა და ევროკავშირისკენ; შესაძლებლობა, ამ ხელისუფლების მხრიდან იგნორირებული სოფლის მეურნეობის აღორძინების, რომელიც მისცემს ჩვენს მოქალაქეებს, განსაკუთრებით რეგიონებში დასაქმების საშუალებას. ეს არის გარანტი ხელმისაწვდომი, ხასრისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის შექმნისა.

ჩვენი ერთობლივი აქტიურობით, ჩართულობით, დარაზმულობით ქვეყანას გავათავისუფლებთ ავტორიტარული რეჟიმისაგან. მედიასა და სასამართლოს გავხდით დამოუკიდებელს და თავისუფალს ყოველგვარი პოლიტიკური წნეხისაგან. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოქალაქეების სწორი და თავისუფალი არჩევანის საშუალებით, გამარჯვება გარდაუვალია. ჩვენ შევცვლით საქართველოს დღევანდელ რეალობას უკეთესობისაკენ და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

გარდაიცვალა კარლო გუჯაბიძე

65 წლის ასაკში გარდაიცვალა გურიის ყოფილი გუბერნატორი კარლო გუჯაბიძე.

იგი წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1999-2003 წლებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იყო გურიის მხარეში.

კარლო გუჯაბიძე დაიკრძალა გუშინ ქ. თბილისში.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბლიანი
+8+13
27 თებერვალი, ორშაბათი

მზე ღრუბელი
+11+13
28 თებერვალი, სამშაბათი

წვიმა
+5+13
29 თებერვალი, ოთხშაბათი



წვიმიანი თოვლი
+2+6
1 მარტი, ხუთშაბათი

წვიმიანი თოვლი
+1+4
2 მარტი, პარასკევი

წვიმიანი თოვლი
0+3
3 მარტი, შაბათი

წვიმა
+1+6
4 მარტი, კვირა

„მიზანი, კანონში შესატანი ცვლილებებისა, არის აბსოლუტურად გაუგებარი“

აიგივებს პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ პირთან და თვლის, რომ პიროვნება არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. ამავდროულად კანონი გამოხატვის თავისუფლებასაც ზღუდავს ანუ თუკი ვინმემ სამოქალაქო სექტორიდან, მაგალითად არასამთავრობო ან მასმედიის წარმომადგენელმა გამოხატა პოლიტიკური შეხედულება რომელიმე სუბიექტის მიმართ, ადვილი შესაძლებელია მავანმა ჩათვალოს, რომ ეს პიროვნება და ორგანიზაცია, რომელსაც ის წარმოადგენს უწევს მხარდაჭერას რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს. ეს შესაძლებელია საფუძველი გახდეს იმისა, რომ კონტროლის პალატამ შეამოწმოს მისი ფინანსური დოკუმენტაცია და ჩათვალოს პოლიტიკური სუბიექტის მხარდამჭერად. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიის საშუალებებს დაუწესდებათ ისეთივე შეზღუდვები, როგორც პოლიტიკურ პარტიას. როგორც მოგეხსენებათ აღნიშნული შეზღუდვები ითვალისწინებს იმას, რომ წლის განმავლობაში პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა მიიღოს 60 000 ლარზე მეტი წელიწადში. მას ამავდროულად ეზღუდება სხვა საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციებისაგან გრანტების მიღების შესაძლებლობა, ეს ანგრევს მთლიანად დემოკრატიულ პროცესს. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

რაც შეეხება სამოქალაქო მოძრაობის„ეს შენ გეხებას" პეტიციას , რომელიც პარლამენტში შევიდა და სამოქალაქო მოძრაობას „ეს შენ გეხება", წინასწარ შედეგების განსაზღვრა რთულია, ვერ ვიტყვით რა შედეგს გამოიღებს ეს ყველაფერი, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თავისუფალ აზრს პატივს ცემს და ჩართულია აქტიურ სამოქალაქო პროცესში, ამის წინააღმდეგ აქვს პროტესტის გამოხატვის უნარი და შესაძლებლობა, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ჩვენი აზრი.

***

თემურ მოქია („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საკრებულოს წევრი): –კანონში ცვლილებების შეტანით თანაბარ პირობებში ჩადგა ყველა პოლიტიკური სუბიექტი. განისაზღვრა, რა არის პოლიტიკური ძალისთვის, პოლიტიკური პარტიისთვის კანონით ნებადართული და რომ არ შეიძლება ამომრჩევლის მოსყიდვა. კანონში ცვლილებებს, რა თქმა უნდა დადებითად ვაფასებ. მან ძალიან მკაფიოდ განსაზღვრა თითოეული საარჩევო სუბიექტის უფლება-მოვალეობები.

***



თემურ სალუქვაძე (პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“, საკრებულოს წევრი): საქართველოს არც ერთი მოქალაქისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების"** შესახებ კანონში 2011 წლის 28 დეკემბერს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებები უშუალოდ უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში. ეს ცვლილებები იმდენად ბუნდოვანი და მრავალწახნაგოვანია, რომ ავტორებსაც კი გაუჭირდებათ მისი სწორად ინტერპრეტირება. **კერძოდ:**

ახალი კანონით, შემოღებულია ე.წ. **„პარტიასთან კავშირში მყოფი"** ფიზიკური და იურიდიული პირების ცნება, რომლებზეც იგივე შეზღუდვების რეჟიმი ვრცელდება, რაც თავად პარტიაზე, ასეთად მიჩნეული ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს უფლება არა აქვთ შემოსავალი მიიღონ სამეწარმეო საქმიანობიდან, სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს წლიურად 60000 ლარს.

1. ამ კანონის თანახმად, პარტიასთან კავშირში მყოფი პირის ცნება იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მოქალაქის, იურიდიული პირის პარტიასთან კავშირი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს.

2. კანონი მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებს ფიზიკურ პირებს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისათვის, ხოლო საჯარო მოხელეებსა და თანამდებობის პირებზე მხოლოდ მინიმალური შეზღუდვები ვრცელდება.

3. კანონის ბუნდოვნებიდან გამომდინარე, დიდია საშიშროება მათი შერჩევითი გამოყენებისა, ამასთანავე არანაირი პასუხისმგებლობა არ ხდება, თუკი ამომრჩევლის მოსყიდვის მქონე საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მინდა აღვნიშნო, რომ თუ ამ სახით მოხდა კანონის სრულმაშტაბიანი გამოყენება და არა მისი დახვეწა, დაკონკრეტება, ისე რომ ადამიანისათვის გასაგები გახდეს, თუ რისი უფლება აქვს მას პარტიასთან ურთიერთობაში, გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანა გავიდეს კონსტიტუციური ჩარჩოებიდან.

***

კანონი მას **ტ ი ფ ო მ ი ქ ა ტ ა ძ ე** (საქართველოს რესპუბლიკური პარტია): ბოლო დროს ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება მოვისმინე, მაგრამ ყველაზე მეტად მომეწონა „რეზონანსის" რედაქტორის შეფასება. მან თქვა, რომ ეს კანონი დაწერილია შიშის თვალებით. ეს ნიშნავს, რომ კანონშემოქმედი ანუ ხელისუფალი, რომელიც ამ კანონს წერდა აშკარად შეშინებულია იმ პოლიტიკური რეალობით, რაც საქართველოში ბოლო პერიოდში არის. ასე რომ ერთადერთი რაც საზოგადოებას დარჩენია, ეს არის გააგრძელოს ბრძოლა თავისი უფლებების დასაცავად. გააგრძელოს ბრძოლა იმისთვის, რომ მაქსიმალურად კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდეს არჩევნები, პოლიტიკური პაექრობა, რომელიც წინ გველოდება. ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. მე იმედს გამოვთქვამ, რომ საზოგადოებაში დაწყებული აქცია, სხვადასხვა ჯგუფებში გამოხატული აშკარა, მკვეთრი პოზიციები შედეგს გამოიღებს, ბრძოლა გაგრძელდება და მივაღწევთ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აქცია მთისპირში

25 თებერვალს სოფ. მთისპირში, უკანავას უბანში ამ უბნის მცხოვრებლებმა გზა გადაკეტეს. ისინი მდ. ბახვზე ჰესის მშენებლების მიერ გზის დაზიანებას აპროტესტებდნენ. მათი განცხადებით, უკანავას უბნის მოსახლეობას გადაადგილება შეეზღუდათ. მშენებლობაზე მომუშავე მძიმეწონიანმა ავტომანქანებმა გზა ისე დააზიანეს, აქ მსუბუქი ავტომანქანით და ფეხით გადაადგილება შეუძლებელია.

აქციის მონაწილეებთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობიდან არავინ მისულა.

აქციის მონაწილეებს ბახვის ჰესის მშენებლობის თურქი წარმომადგენელი შეხვდა და მთისპირლებს გზის გახსნა სთხოვა. თურქი მშენებელი მათ გზის ნაწილობრივ მოწესრიგებას

ოზურგეთში II მსოფლიო ომის გმირების ბიუსტები აიღეს

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ მეორე მსოფლიო ომის გმირების, მათ შორის სახელოვანი მხედართმთავრების კონსტანტინე ლესელიძის და პორფირე ჩანჩიბაძის ბრინჯაოს ბიუსტები იდგა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი კატაკლიზმების შემდეგ, რამდენიმე ბიუსტი გაიძარცვა, მათ სპილენძის ფირფიტები ააცალეს, ხოლო კონსტანტინე ლესელიძის ბრინჯაოს ბიუსტი საერთოდ მოიპარეს. ამას ემატებოდა ზოგიერთი მოქალაქის უზნეო საქციელი–ბიუსტების მიმდებარე ტერიტორიას ტუალეტად იყენებდნენ!

როგორც ჩანს ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოსავალი ამ ბიუსტების საერთოდ აღებაში დაინახა. ბიუსტები ამჟამად ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფოეში ინახება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქ. ოზურგეთის რწმუნებულმა კახა მეგრელიშვილმა გვითხრა, რომ მუზეუმის ქვედა მხარეს, კუთხეში ევროსტანდარტის საზოგადოებრივი ტუალეტი აშენდება, ხოლო აღებული ბიუსტების ადგილზე რა გაკეთდება, ჯერჯერობით ინფორმაციას არ ფლობს.

გამდიდრებული და მრავალფეროვანი მენიუ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრმა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი ცვლილებებით დაიწყო.

კერძოდ, შემუშავებულია ახალი მენიუ, რომელიც გაცილებით მრავალფეროვანია. ახალ მენიუში გაიზარდა ხორცის დღიური ნორმა, მენიუს დაემატა ქათმის ფილე, ხილის ჯემი და ბოსტნეულის სალათი. მსგავს განახლებებს ცენტრი მუდმივად ახორციელებს და ხვეწს მენიუს, რომ კვების რაციონი არ იყოს ერთფეროვანი.

ასევე ცვლილელებებია სადისტრიბუციო ქსელში. მიმდინარე წლიდან 36 ფილიალს ახალი ფირმები მოამარაგებს.

ცენტრის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში სხვადასხვა ფირმებმა გაიმარჯვა. კერძოდ: შ.პ.ს. „ვასაძის პური" - 41 064 ლარით - „სხვადასხვა საკვები პროდუქტები" (პური). ინდ/-მეწარმე „გიორგი კაჭკაჭიშვილმა“ - 41 930 ლარით - რძის პროდუქტები. ინდ/მეწარმე „გეგა ონიანმა“ - 106 200 ლარით - „ცხოველური პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები" (საქონლისა და ფრინველის ხორცი). ინდ/მეწარმე „გიორგი კაჭკაჭიშვილმა“ - 37 777 ლარით - „სხვადასხვა საკვები პროდუქტები" (სურსათი) და ინდ-/მეწარმე „ვალერიან კაკურიამ“ - 47 889 ლარით - „ბურღულეული, კარტოფილი, ხილი და თხილეული"- (ბოსტნეული).

მომწოდებლებთან ურთიერთობის, ჩვენი მთავარი მოთხოვნა სერთიფიცირებული და ხარისხიანი პროდუქტების მოწოდებაა, რათა, ჩვენი აღსაზრდელები მაქსიმალურად იყვნენ დაცულები, ხოლო აღსაზრდელთა მშობლები კმაყოფილი იყვნენ, ჩვენს მიერ შეთავაზებული პირობებით. - აღნიშნა ცენტრის დირექტორმა მაკა ჭყონიამ.

საბავშვო ბაღებში სამეურვეო საბჭოების აქტიური ამოქმედება იწყება

მიმდინარე წლის თებერვლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი ფილიალებში სამეურვეო საბჭოს აქტიური ამოქმედების, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობის მიზნით, სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევნებს ჩაატარებს.

ამის შესახებ 36 ფილიალის მენეჯერს გაერთიანებულ თათბირზე ინსტრუქტაჟი უკვე ჩაუტარდათ.

ცენტრის წესდების თანახმად, სამეურვეო საბჭო არის ფილიალის თვითმართველი ორგანო, რომელიც ირჩევა ორი წლით. ფილიალის სამეურვეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან, რომელსაც ირჩევენ მშობლები.

საბჭოს ფუნქციებში შედის არსებიუჯეტო სახსრების მოზიდვა და მათ განკარგვაზე კონტროლი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სანიტარულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ასევე სამეურვეო საბჭოს უფლებებში შედის, ცენტრს მოთხოვოს საგანმანათლებლო აუდიტი პედაგოგის კვალიფიკაციის დასადგენად და სათანადო დასაბუთების შემთხვევაში ცენტრის წინაშე დასვას ფილიალის მენეჯერის პასუხისმგებლობის საკითხიც.

– სამეურვეო საბჭოების მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართვა ხელს შეუწყობს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დახვეწას. ამავდროულად ჩვენი მიზანი – აღსაზრდელები და მათი მშობლები იყვნენ კმაყოფილი, თავად მშობელთა აქტიურობის ნიადაგზე, მათი დახმარებითა და ინიციატორობით მოხდება. ეს არ იქნება მხოლოდ წესდების მუხლის შესრულება, ეს პროცესი შეუქცევადად და მიზანიმართულად უნდა ვაქციოთ ეფექტური და შედეგიანი მუშაობისთვის. – აღნიშნა ცენტრის დირექტორმა მაკა ჭყონიამ.

გასართობი კვირეული

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ფილიალების აღსაზრდელთათვის მალე გასართობი კვირეულები მოეწყობა. საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, პატარები ზღაპრის სხვადასხვა პერსონაჟებს ოზურგეთის პარკში შეხვდებიან და ერთი მხიარული დღით გალაღდებიან.

სოფლებიდან აღსაზრდელების ტრანსპორტირების ხარჯს მუნიციპალიტეტის საკრებულო დაფარავს.

ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის პრესსამსახური

ოზურგეთის თეატრის ისტორიიდან

ოზურგეთის თეატრი 50-იან წლებში

მაღალი შეფასება დაიმსახურეს მსახიობებმა: ბ.ნაკაიძემ, ვ.ბაჯელიძემ, შ.ცქიტიშვილმა, ი.არობელიძემ, ვ.დოლიძემ, ვ.თურმანიძემ, ა.ანდღულაძემ, რ.ლომინაძემ.

1962 წელს დამთავრდა დიდი ხნის დაწყებული მახარაძის თეატრის მშენებლობა (არქიტექტორი კ.ჩხეიძე, მოქანდაკეები ვ.თოფურიძე, მ.ჯაფარიძე, ჭერის მხატვრობა ა.ქუთათელაძე) რომელმაც თეატრის კოლექტივს ფართო და აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების საშუალება მისცა.

1964 წელს კვლავ გაიმართა მახარაძის თეატრის გასტროლები თბილისში რეპერტუარში იყო ნ.დუმბაძის და გ.ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ , ა.ფურცელაძის „მაცი ხვიტია,“, ი.ვაკელის „აპრაკუნე“ დ.კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ვაჟა–ფშაველას „მოკვეთილი“. თბილისში გასტროლების დროს სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ ანატოლის როლი შეასრულა მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობმა ვიტალი დორონინმა. თბილისში წარმატებით ჩატარებული გასტროლისათვის თეატრი უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

1968 წელს მახარაძის თეატრმა დაარსების 100 წლისთავი იზეიმა, ამ პერიოდში თეატრის მთავარი რეჟისორი იყო გურამ აბესაძე. საიუბილეო თეატრის რეპერტუარი წარმოდგენილი იყო: მ.ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა“ (რეჟისორი თ.შონია). ნ.დუმბაძისა და გ.ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ (რეჟ. გ.ლორთქიფანიძე), გ.ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო“ (რეჟ. გ.აბესაძე), ა.შენგელიას „ციმბირის პაპა“ (რეჟ. გ.აბესაძე), გ.კლდიაშვილის „თეთრხალათიანი ქალიშვილი“(რეჟ. გ.აბესაძე) და რევოლუციის 50 წლისთავისათვის მიძღვნილი წარმოდგენა „სიმღერა გრძელდება“ ყველა სპექტაკლის მხატრობა ეკუთვნოდა შოთა დარჩიას.

1971–74 წლებში თეატრის მთავარი რეჟისორი იყო ნოდარ იონათამიშვილი, რეჟისორებად ცალკეულ დადგმაზე მუშაობდნენ ენვერ ჩხაიძე და ვასო რცხილაძე. დაიდგა გ.ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ (რეჟ. ე.ჩხაიძე)

შემდეგ სეზონში მთავარ რეჟისორად მუშაობდა სერგო ახალაძე, რეჟისორებად გრიგოლ ლაღიძე, ნოდარ დეისაძე, ვასო ჩიგოგიძე, რომლის რეჟისორულ დებიუტს თეატრში ა.მაკაიონოკოს „ტრიბუნალი“ დიდი წარმატება ხვდა. სპექტაკლი მიეძღვნა სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს.

1977 წლის სეზონიდან თეატრის სამხატრო ხელმძღვანელად და დირექტორად დაინიშნა ილია მაცხონაშვილი, დამდგმელ რეჟისორებად ვასილ ჩიგოგიძე, გურამ მაცხონაშვილი და დიპლომანტი მ.ჯინჭარაძე.

1979–80 წლებში თეატრში ცალკეულ დადგმებზე მოწვეულნი იყვნენ რეჟისორები: გურამ აბესაძე, მიხეილ მარხოლია, გიორგი აბრამიშვილი. მ.მარხოლიამ დადგა ალექსი აღუნის „სიმღერა გულისა“ გ.აბრამიშვილმა ვალერიან კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები“ .

1980 წლიდან თეატრის მთავარი რეჟისორია ვასილ ჩიგოგიძე დამდგმელ რეჟისორებად მუშაობდნენ გურამ აბესაძე, სულიკო კიკვაძე. დიდი წარმატება ხვდა ვ.ჩიგოგიძის მიერ დადგმულ ა.აბდულინის პიესას „მეცამეტე თავმჯდომარე“

1982–83 წლის სეზონში თეატრის საუკეთესო დადგმად იქნა აღიარებული ეგნატე ნინოშვილის ცხოვრების ამსახველი პიესა „ოქროს ნალი“ შემდეგ სეზონში ს.კიკვაძემ ვ.ჩიგოგიძესთან ერთად განახორციელა ა.ჩეხოვის ერთ მოქმედებიანი პიესები „დათვი“ და „ხელის თხოვნა“ რომელიც ნაჩვენები იქნა სოფელ შემოქმედში ვლადიმერ ნემიროვიჩ–დანჩენკოს სახლ–მუზეუმის გახსნისას.

გურიაში ჩამოვიდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები ანგელინა სტეპანოვას ხელმძღვანელობით დელეგაციაში შედიოდნენ, ვ.ნემიროვიჩ–დანჩენკოს შვილიშვილი სამხატრო თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე ვ.ნემიროვიჩ დამჩენკო და სხვები.

მახარაძის თეატრში გაიმართა ქართველთა და რუს თეატრალურ მოღვაწეთა საზეიმო შეხვედრა. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი მახარაძის თეატრისა და მოსკოვის სამხატვრო თეატრის კოლექტივების შემოქმედებით მეგობრობას. ამ მეგობრობის ერთ–ერთი შედეგი იყო მახარაძის თეატრში სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვლადიმერ სალიუკის მოწვევა, რომელმაც ა.ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“ დადგა, სპექტაკლში კრუჩინინას როლი შეასრულა სამხატვრო თეატრის მსახიობმა სვეტლანა კორკოშკომ. სპექტაკლი წარმატებით იქნა ნაჩვენები თბილისში.

გასული საუკუნის 80–იან წლების მახარაძის თეატრის ნამუშევრებიდან სპეციალისტის აზრით გამოირჩევა სპექტაკლები: რ.იბრაგიმბეკოვის „ჟამი ჭეშმარიტებისა“ (რეჟისორი ვ.ჩიგოგიძე რომელსაც ამ სპექტაკლისათვის „ხუთწლედის მატიანის“ პრემია მიენიჭა, გ.ლორთქიფანიძისა და ნ.დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ (რეჟ.ვ.ჩიგოგიძე), ედვარდო დე ფილიპოს „ცილინდრი“ (რეჟ. ვ.ჩიგოგიძე),დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ (რეჟ. ს.კიკვაძე), ლაშა თაბუკაშვილის „შენსკენ სავალი გზები“ (რეჟ ო.კუტალაძე).

1987 წლის აპრილში თეატრის კოლექტივი გაემგზავრა ბაიკალ–ამურის მაგისტრალზე დაბა იკაბიის ქართველ მშრომელებთან შესახვედრად. სპეციალურად გადაკეთდა ნოდარ დუმბაძის „მე ბებია,ილიკო და ილარიონის“ ინსცენირება სახელწოდებით „გამარჯობათ ხალხო„ .

1987 წელს თეატრის დასმა მოსკოვის სამხატვრო თეატრში წარმოადგინა ორი სპექტაკლი: „გამარჯობათ ხალხო“ და „უდანაშაულო დამნაშავე“ თეატრის მიღწევებზე მეტყველებს ის ჩანაწერები რომელიც დღეს თეატრის მუზეუმში ინახება. მოვიყვანთ რამდენიმე ჩანაწერს: „მახარაძელებთან სტუმრობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ულამაზესი ეპიზოდია და აი, დღეს ჩვენი მეგობრები სახელგანთქმული სამხატვრო თეატრის სცენაზე არიან, მიხარია, რომ მათ წარმატებით ჩააბარეს შემოქმედებითი გამოცდა მოსკოველთა წინაშე და მაყურებლის დიდი სიმპატია დაიმსახურეს. საქართველო განთქმულია თეატრალური კულტურით და ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ეს კულტურა იქმნება არა მარტო თბილისის თეატრებში, არამედ პერიფერიებშიც. მე უკვე 63 წელია სამხატვრო თეატრში ვარ და მინდა დავმოძღვრო მახარაძის თეატრის კოლექტივი და ვუსურვო შემოქმედებითი ერთსულოვნება, თანამოაზრეობა და თანადგომა„ (ანგელინა სტეფანოვა) და მეორეც „გამარჯობა ხალხო“ ჩემთვის მართლაც დიდი სტიმულია ქართული და კერძოდ გურული ყოფის უკეთ შეცნობისათვის, საოცარია, სიმღერაში ასე ნათლად იკითხებოდეს ეროვნული ხასიათი და ბუნება, განუმეორებელი კოლორიტი, რამდენ რამეს იტევს თითოეული მუსიკალური ფრაგმენტი, რომელსაც ვირტუოზულად ასრულებენ მსახიობები, მე ძალზე ბედნიერი ვარ რომ ჩემს ბიოგრაფიაში ესოდენ დიდი ადგილი დაიკავა საქართველოსთან და მის უმშვენიერეს კუთხესთან გურულ სამყაროსთან ურთიერთობა“ –ვასილ ნემიროვიჩ-დანჩენკო.

და მესამეც „ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დავესწარი სპექტაკლს „გამარჯობათ ხალხო“ . მე ვიცნობ ამ თეატრს, ვიცნობდი მის წინა თაობას, ერთ–ერთ დადგმაზე (მ. ლავრენიოვის „რღვევა“) კონსულტანტად ვიყავი მიწვეული–ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს თეატრი განახლებული სახით ვიხილე გაახალგაზრდავებული და ახალ სტილისტიკას დაუფლებული, დუმბაძის ეს ნაწარმოები ბევრჯერ მინახავს ჩვენშიაც და საზღვარ გარეთაც, მახარაძელთა ნამუშევარი გურული თავისთავადობით არის აღბეჭდილი, აღსავსეა სიკეთით, იუმორით, იმპროვიზაციული სულით, შთაგონებით, ჩემი აზრით, ეს ხალხური ბერიკაობის ტრადიციით არის ნასაზრდოები“ –პეტრე ვასილიევი რსფსრ სახალხო არტისტი.

––დღეს ოზურგეთის თეატრის დასი (მართველი ზაზა ჯინჭარაძე) წარმატებით აგრძელებს თეატრალურ ტრადიციებს.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
ისტორიული მუზეუმის
ფონდების მცველი

„ამ სიმღერების მადლით გავიზარდე“

გურამ ბურჭულაძე 29 თებერვალს 80 წლის გახდებოდა



29 თებერვალს მე-20-ჯერ უნდა აღენიშნა დაბადების დღე. ოთხი წლის წინ ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად აღნიშნა იგი.

ოზურგეთის კოლორიტი, საუკეთესო მეგობარი, ცნობილი თამადა, ქართული ხალხური სიმღერების ტრფიალი–კიდევ ბევრი ტიტულის მინიჭება შეიძლებოდა სამშობლოზე, მამულზე შეყვარებული ამ კაცისთვის.

–„მე მომღერალი არ ვარ, უბრალოდ ამ სიმღერების მადლით გავიზარდე, რომელსაც მამა და მისი მეგობრები ასრულებდნენ. ჩვენთან ხშირად სტუმრობდა ვარლამ სიმონიშვილი. გომში ოთხი მომღერალი ოჯახი ცხოვრობდა: ბურჭულაძეები, მახარაძეები, გოლიაძეები, კვარაცხელიები. ბავშვობიდანვე მახსოვს მათი ურთიერთობა როგორი ზრდილობიანი, კულტურული იყო.

1930 წელს ვარლამმა თავის გუნდში მიიწვია მამა. გუნდი კონცერტებს ატარებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და მოსკოვში...“–ყვებოდა 4 წლის წინ გაზეთ „ალიონთან“გურამ ბურჭულაძე.

1934 წელს გომში ცნობილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე ჩამოსულა (მაშინ გურამი ორი წლის ყოფილა), მას მეგზურობას გურამის მამა იოსები უწევდა. ალიოშას მდინარე ბჟუჟის სათავე და ხეობა დაუთვალიერებია და უთქვამს: –იქ ელექტროსადგურის აშენება შეიძლებაო. რამდენიმე ხნის შემდეგ გომში სპეციალისტები ჩამოვიდნენ და ელსადგურის მშენებლობაც დაწყებულა. „პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ჩამოსული სპეციალისტები ჩემს სახლში იყვნენ, ჩვენს სახლში ხდებოდა ნახაზების განხილვა, დგებოდა გეგმები.“ შემდეგ წლები გავიდა და გურამ ბურჭულაძემ თავის პროფესიად ელექტროინჟინრობა აირჩია.

სტუდენტობისას, 1956 წლის 9 მარტის ცნობილი ტრაგედიის მონაწილე იყო.

–„რამდენიმე მეგობარი მომიკლეს, მაშინდელ გრძნობებს სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ეს ჩემი ცხოვრების საშინელი პერიოდი იყო.“

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბჟუჟესზე დაიწყო მუშაობა ელექტრო ინჟინრად. შემდეგ ქალაქში გადმოვიდა, დაქორწინდა ქალბატონ ციალა ჭანუყვაძეზე, რომელიც შემდეგ ათეული წლები ბჟუჟესზე მუშაობდა. ორი შვილი შეეძინათ: თამარი და ირმა. დიდ პატივს სცემდა სიძეებს ზაზა ჭანიშვილს და ალიკა გოლიაძეს. სამი შვილიშვილის ბაბუა იყო.

მეგობრები მისი ცხოვრების განუყრელი ნაწილი იყო. გარდაცვლილი მეგობრების გახსენებზე ცრემლები მოეძალებოდა ხოლმე.

–„ბავშვობის მეგობარი იყო ჯანო გიორგაძე, კარგ ლექსებს წერდა–იგონებდა იგი–ნადირობა უყვარდა. ერთხელ „ვილისით“ ამომაკითხა გომში. სანადიროდ წავედით, ღამე მთაში გავატარეთ, თურმე მთელი სოფელი გვეძებდა..“

საინტერესოდ იგონებდა გოგი დოლიძის, ზაურ ბოლქვაძის სტუმრობებს... ხშირად ეფერებოდა ასევე „ჭადრების საძმოს“, რომელიც მისი საუკეთესო მეგობრებიდან შედგებოდა.

ცნობილი თამადა იყო. იგი მსმენელს არა მარტო საუკეთესო სადღეგრძელოებით ხიბლავდა, ლექსებსაც (მათ შორის საკუთარსაც) შესანიშნავად კითხულობდა და საუკეთესოდ მღეროდა.

დღეს არც ისე ბევრია იმ ადამიანების რიცხვი, ავტომანქანაში მხოლოდ ქართულ ხალხურ მუსიკას რომ უსმენს. გურამისთვის ეს ცხოვრების წესი იყო. გურული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშს ჩართავდა და სახეზე შეპარებული კეთილი ღიმილით მსმენელს აკვირდებოდა, შეეძლო თუ არა ამ სიმღერის წვდომა.

ამიტომაც იყო, რომ მის გვერდით ხშირად ვხედავდით ჯემალ ჭკუასელს, ტრისტან სიხარულიძეს, ამირან გოლიაძეს, ილო ინწკირველს და სხვა არაერთ ცნობილ მომღერალს.

ილო ინწკირველი იგონებს:–ჩვენ დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. „შვიდკაცას“ ბიჭები გურამთან ერთად არაერთ მაგიდასთან ვყოფილვართ. კარგი თამადა იყო და სუფრაზე წესრიგი უყვარდა. დამირეკეს, წასვლის ნებართვა ვთხოვე. მისეული იუმორით მითხრა:–მაგიდიდან წავლა შეილება, მთავარია ხელიდან არ წახვიდეო!

მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ოზურგეთელ ჟურნალისტებთან. ხშირად „ალიონის“ ძველი და მომდევნო თაობის სტუმარი იყო.

გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე „ჭადრების ბაღთან“ შევხვდი. მაშინ ჯერ კიდევ არ მოძალებოდა ავადმყოფობა. მანქანაში იჯდა. რესტორანში გამყევიო, ჯემალ ჭკუასელი მყავს სტუმრად, რაღაცას უნდა მოგიყვეო.–მთხოვა. ვერ გავყევი. რომ გარდაიცვალა, მივხვდი, მისი ცხოვრების ერთი საინტერესო ფურცელი დარჩა მოუყოლელი.

29 თებარვალს იგი 80 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო დაბადების დღის მეოცედ აღვნიშვნას.

ნუგზარ ასათიანი

*** გაგრძელება დასაწყისი №6-ში**

ხსოვნა

თამაზ სალუქვაძე

ჩემო ბაბუ! რა მალე გავიდა 8 თვე, რაც ჩვენთან არ ხარ. შენ – ამქვეყნად მოსვლით ცხოვრების ლამაზი კვალი გაივლე, წასვლით კი–საუკუნო გზა სანთლებით, ვარდებით და სიყვარულით გაიცისკროვნე.

ბაბუ! მეტად ძნელია ჩემთვის შენზე წარსულში საუბარი. ბევრი კარგი მოგონება დამრჩა შენზე. მუდამ მემახსოვრები ხალისიანი, იუმორით სავსე, მეტად მოსიყვარულე და ჩემზე უსაზღვროდ შეყვარებული. უსაშველო მონატრება ხარ ბაბუ დედასთვის და ბებოსთვის, შენს მოსახსენიებლად ყოველდღე ლოცვას კითხულობენ. გვიხაროდა, როცა მოულოდნელად შემოაღებდი კარებს და ღიმილით სავსე გულში ჩამიკრავდი. ახლა კი სად ხარ?

ბაბუ, მე ისევ მელოდები–მაგრამ, ვიცი ეს ლოდინი ამაოა. აკლია შენი დარიგება, მოფერება, მხარში დგომა. როგორ ახერხებდი ყველა ადამიანში მხოლოდ დადებითის და კარგის დანახვას. ყველას უნაწილებდი შენს სითბოს და გულისხმევას.

ბაბუ, მუდამ მემახსოვრები არასოდეს დაგივიწყებ და შენს ოცნებას შევასრულებ–კარგი კაცი ვიქნები, რომელიც დარდად გაგყვა. მოვალ შენს საფლავთან, დაგინთებ სანთლებს და ვილოცებ შენი ლამაზი სულისათვის.

რეზო ჩხაიძე



იხსენებენ ადამიანს, რომელიც მივიწყებას არ მიეცემა ხოლმე. 1 მარტს, ხომ შენი დაბადების დღეა–რეზო! ჩვენ კი, თითქმის ყოველდღე წარმოგვიდგება შენი სახე–კეთილი, თბილი, სიცოცხლისადმი წყურვილით სავსე...თუმცა, იმ ავბედითმა დღემ განსაზღვრა ჟამი შენი ამქვეყნად ყოფნისა; ერთ წუთში შენთვის ჩამობნელდა, წყვდიადი ჩამოწვა და გულმა შეწყვიტა მუშაობა. იმ დღიდან მოყოლებული ხალისი დაკარგა შენმა მეუღლემ–მაიამ. ძალიან ენატრები შენს მეგობრებს, მეზობლებს და ნათესავებს. რომლებიც სანთლებს გინთებენ და ხშირად გაკითხავენ საფლავთან. ის ტკივილი დღესაც გაუსაძლისია ისევე, როგორც მაშინ შენი ოჯახისთვის. ყველას გვერდში მდგომი, კარგი მეუღლე და მამა იყავი. შენ ხომ ერთადერთი ვაჟიშვილი დატოვე, რომელიც ვაჟკაცურად ასრულებს შენს ოჯახურ ტრადიციებს. ვანო მალე სტუდენტი გახდება, რაც შენი ოცნება იყო. შენი მონატრების გაუსაძლის ტკივილს, ღვთის რწმენა აძლიერებს შენს ერთგულ მეუღლეს.

ჩვენ, შენს მეზობლებს, მუდამ გვემახსოვრები, ყოველთვის ვილოცებთ შენი სულისთვის. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

შენი მეზობლები.

ოზურგეთის „არწივებმა“ პირველი შეხვედრა მოიგეს.

ერთი თვეა ცუდი ამინდებია, ხშირად თოვს. მან მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი, ოზურგეთელ მორაგბეებს დროულად დაეწყოთ ახალი სეზონისათვის ფიზიკური მომზადება. ამას ისიც დაემატა, რომ „არწივების“ სამი მოთამაშე, ლიდერები სამხედროსავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, რამაც საგრძნობლად შეასუსტა გუნდის პოტენციალი.

დაიწყო 2012 წლის საქართველოს თასის გათამაშება რაგბიში, სადაც გუნდები ორ ჯგუფადაა დაყოფილი. ოზურგეთის „არწივებს“ პირველი შეხვედრა საჩხერის „ჯრუჭთან“ მოუწია. მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, (ზვანის მოედანზე 10 სმ. თოვლი იდო) ოზურგეთლებმა მედგრად იბრძოლეს და 20:0 დაამარცხეს მეტოქე.

გუნდი თასის გათამაშების პარალელურად საქართველოს 2012 წლის ეროვნული ჩემპიონატისთვისაც ემზადება, რომელიც სექტემბერში დაიწყება.

– ოზურგეთელ მორაგბეებს გვერდით უდგანან მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები (ვალერი ჩიტაიშვილი, ალეკო მამეშვილი, ილია ვაშაყმაძე). მათ გუნდს ფორმა და მედიკამენტები შეუძინეს. – გვითხრა ზვიად უნგიაძემ.

არტურ დავოიანის წარმატება

ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილი არტურ დავოიანი უკრაინაში, ქ. გორლოვკაში საქართველო-უკრაინის საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობდა. მან 60 კგ. წონით კატეგორიაში მოუგო უკრაინელ მოკრივეებს და საქართველოს ნაკრებთან ერთად გამარჯვება იზეიმა.

არტურის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის მის მწვრნენს იულონ

მერაბ მეგრელაძე



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც 56 წლის ასაკში გარდაიცვალა გურიის ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი მერაბ მეგრელაძე.

მეგრელაძეების ოჯახური დინასტია ქართულ ფეხბურთთან და მის წარმატებებთან იყო დაკავშირებული.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ოზურგეთში სპორტის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მერაბის ბაბუას ილია მეგრელაძეს, იგი თავდაპირველად ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნდში გამოდიოდა, ხოლო შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს ედგა სათავეში. წლების მანძილზე ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის დირექტორი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერაბის მამა და ბიძა, ნოდარ და გიორგი მეგრელაძეები გასული საუკუნის 50-იან წლებში ოზურგეთის „კოლმეურნეში“ თამაშობდნენ.

ამ სპორტული ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელი იყო მერაბი, რომელიც გამოდიოდა ლანჩხუთის „გურიაში“, შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში.“ მერაბს მოუწია საკავშირო პირველობაზე ასპარეზობაც და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც ეჩვენებინა რა შეეძლო. იგი, როგორც ბომბარდირი, ყველგან გამოირჩეოდა მაღალი შედეგებით, მას გოლის გატანის განსაკუთრებული ალღო ჰქონდა.

1985 წელს მერაბმა პირველსავე სეზონში ქუთაისის „ტორპედოში,“ რომელიც იმ დროს საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, 18 გოლი გაიტანა და გუნდმა იმ წელს საკავშირო პირველობაზე ასპარეზობის 13-წლიან ისტორიაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა–XI ადგილი დაიკავა. იმ სეზონში განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყო სტუმრად, რუსეთის დედაქალაქში მრისხანე „დინამოს“ დამარცხება ანგარიშით 1: 3. ამ მატჩის გმირი მერაბ მეგრელაძემ იყო. მან ჰეთ-თრიკი შეასრულა. 1989 წელს მერაბმა „ტორპედოს“ შემადგენლობაში I ლიგაში 29 გოლი გაიტანა. იმ წლებში მერაბს საქართველოს პირველი გუნდიდან – თბილისის „დინამოსაგან“ ჰქონდა შეთავაზება გადასვლაზე, მაგრამ მან „ტორპედო“ არ დატოვა.

დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და მერაბ მეგრელაძემ „ტორპედოს,“„სამგურალის,“ „მარგვეთის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 140 მატჩში 104 გოლი გაიტანა.

მერაბ მეგრელაძეს ეკუთვნის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთ სეზონში გატანილი გოლების რეკორდი. მან 1992-93 წლებში წყალტუბოს „სამგურალის“ შემადგენლობაში 41 გოლი გაიტანა! ეკუთვნის კიდევ ერთი რეკორდი. მას ყოფილი სსრკ უმაღლეს და პირველ ლიგებში, ასევე საქართველოს პირველობებზე (პირველობა და თასის გათამაშებაში) 300-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

მერაბ მეგრელაძე შვეციის ერთ-ერთ კლუბშიც გამოდიოდა, ხოლო კარიერა 44 წლის ასაკში ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ დაასრულა.

„თუ სტენლი მეტიუზს ინგლისის დედოფალმა სერის ტიტული მიანიჭა, ქართველებმა მერაბ მეგრელაძე ლორდად უნდა მოვიხსენიოთ“–ეს სიტყვები ცნობილ კომენტატორს ნუგზარ ჯუღელს ეკუთვნის.

მისი შვილი გიორგი წარმატებით გამოდიოდა „ტორპედოს“ შემადგენლობაში. მას ეროვნულ ჩემპიონატების 250 ჩატარებულ მატჩში 130 გოლი გაიტანა და ქართველ ბომბარდირებს შორის III ადგილი უკავია. ერთ პერიოდში მამა-შვილს მინდორზე ერთად მოუწიათ გამოსვლა.

მერაბ მეგრელაძე 2001-2002 წლებში მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა და რეგიონ ლიგაში მოასპარეზე „მერცხალს“ ჩაუდგა სათავეში. მან გუნდის ხელმძღვანელებთან, ფეხბურთელებთან ერთად მიზნად დაისახა „მერცხალის“დაკარგული ტრადიციების აღდგენა. ძალიან დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. „მერცხალს“ რთული გზის გავლა მოუწია მიზნის მისაღწევად. ჩემპიონატი ძირითად მეტოქე ვანის „სულორთან“ ერთად, თანაბარი ქულებით დაასრულა.

მერაბს გვერდით ედგა მთელი გუნდი. დამატებით მატჩებში თითო მოგება დაფიქსირდა. დაინიშნა გადამწყვეტი მატჩი ქ. ფოთში, „კოლხეთის“სტადიონზე. აქ ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 1:1 დასრულდა. პენალტების სერიაში გურულებმა იმარჯვეს და „მერცხალი“ I ლიგაში გადავიდა. გზა უმაღლესი ლიგისკენაც გახსნილი იყო....

26 იანვარს მერაბ მეგრელაძე 57 წლის გახდებოდა. 29 იანვარს კი იგი უკანასკნელ გზაზე გააცილეს.

„ღმერთმა ნათელში ამყოფოს „ტორპედოს“ლეგენდა“–წერდა ერთ-ერთი გულშემატკივარი. ჩვენც ამასვე ვიტყვით:–ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქართული ფეხბურთის ლეგენდა.

გელა დოლიძე, აკაკი ათუაშვილი, ბახვა გიორგაძე, გოჩა ფიფიტაძე, მერაბ მჭავანაძე, კახა როხაძე, ნოდარ კალანდარიშვილი, რამაზ ასკურავა, ზვიად დოლიძე, რუბენ მახარაძე, დოდიკა გაგუა, დათო ჯაველიძე, მალხაზ თორია;

***

მერაბ მეგრელაძის მამა ნოდარი ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ოზურგეთის სტამბაში ჩვენი გაზეთის მბეჭდავად. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ წლებში გაზეთის წარმატებებში. სამწუხარო ფაქტი მოხდა. მოულოდნელად გარდაიცვალა საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო მოქალაქე მერაბ მეგრელაძე.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ნოდარ და ლუბა მეგრელაძეებს შვილის მერაბ მეგრელაძის გარდაცვალების გამო.

ქირავდება
200 კვ. მეტრი
საოფისე ფართი,
ქალაქის ცენტრში
დაგვიკავშირდით:
(599) 55 56 84

იყიდება
კაპიტალური სახლი
მაღალ ბელეტაჟზე.
ფასი შეთანხმებით.
მისამართი: ქ.
ოზურგეთი,
ჯავახიშვილის
II შეს. №2.
დარეკეთ:
(593) 75 34 69.

იყიდება
ავტომანქანა
„ვაზ–2103“კარგ
მდგომარეობაში.
ფასი
შეთანხმებით.
დარეკეთ:
(593)41 11 50.

პრობლემები გაქვთ დასუფთავებასთან დაკავშირებით?
დარეკეთ:
27 44 67;
(595)30 50 58.
ოზურგეთის დასუფთავების სამსახური.

ოზურგეთის რაიონის სამხედრო კომისარიატის ყოფილი თანამშრომლები და ვეტერანები იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის **ნინა ჩინოიანის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვეტერანთა სამხედრო საბჭოს სახელით
მურმან დუნდუა

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru